act

სქესის მიმართ ძალადობის კვლევა ახალგაზრდებში

რაოდენობრივი კვლევის შედეგები

მომზადებულია ACT-ს მიერ ქალთა საკონსულტაციო ცენტრ „სახლისთვის“

აპრილი, 2019

თბილისი, საქართველო

Erasmus+

love&respect
Preventing Teen Dating Violence

სახლი/SAKHLI
ქალთა საკონსულტაციო ცენტრი
ADVICE CENTER FOR WOMEN

I. შესავალი 3
II. კვლევის დიზაინი 3
1 კვლევის მიზანი 3
2 კვლევის მეთოდები 3
III. კვლევის მიგნებები და შედეგები 4
1 შერჩევის მახასიათებლები 4
2 პარტნიორთან ურთიერთობაში ყოფნის გამოცდილება 8
2.1 ფსიქოლოგიური ძალადობა 12
2.2 ფიზიკური ძალადობა 15
2.3 სექსუალური ძალადობა 17
2.4 ეკონომიკური ძალადობა 19
2.5 მაკონტროლირებელი ქცევა 21
2.6 ძალადობა ტექნოლოგიების გამოყენებით 23
3 ძალადობა პარტნიორებს შორის და მისი შედეგები 25
4 ძალადობის გამოცდილებასთან გამკლავება 28

I. შესავალი

წარმოდგენილი კვლევის მიზანია შეისწავლოს საქართველოში არსებული სიტუაცია პარტნიორზე ძალადობის თვალსაზრისით 16-26 წლის ასაკობრივ ჯგუფში. ქვეჯგუფებში სხვადასხვა ტიპის ძალადობას შორის კავშირის შესწავლასა და ისეთი განსხვავებული ცვლადების მიხედვით მიღებული მონაცემების შედარებასთან ერთად, როგორიცაა სქესი, ასაკი და ა.შ. კვლევამ გამოკვეთა ძალადობის განსხვავებული ტიპების სიხშირე და საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდა წყვილებს შორის სხვადასხვა ძალადობასთან ასოცირებული შემთხვევები. მონაცემები შესწავლილია იმ ძალადობის ტიპების საფუძველზე, რომელიც გამოიკვეთა კითხვარში წარმოდგენილი ფაქტორების მიხედვით. ძალადობის თითოეული ტიპი გაანალიზდა ხანგრძლივობისა და ამ უკანასკნელის განმეორებითობის მიხედვით, რამაც მნიშვნელოვანი განსხვავებები აჩვენა გავრცელებაში. გარდა ამისა, ნებისმიერი სახის ძალადობრივი ურთიერთობის ან ძალადობრივი შემთხვევის გამოცდამ შესაძლოა ხელი შეუწყოს სირთულეების გაჩენას ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში, კვლევამ შეისწავლა ძალადობის შედეგები და მასთან ერთად მსგავს სირთულეებთან გამკლავების მეთოდები.

II. კვლევის დიზაინი

1 კვლევის მიზანი

წარმოდგენილი კვლევის საერთო მიზანი არის ჩამოთვლილი ფაქტორების განსაზღვრა:

- ძალადობრივი ქცევის ოდენობა პარტნიორებს შორის 16-26 წლის ასაკობრივ ჯგუფში ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური და ეკონომიკური ძალადობის ტიპის ჩათვლით მაკონტროლებელი ქცევის შემთხვევებთან ერთად;
- ძალადობრივი ქცევის განმეორებითობა და ხანგრძლივობა;
- ძალადობის ნებისმიერი ტიპის გამოცდის შემდგომი სირთულეები; ძალადობასთან გამკლავების მეთოდები;

2 კვლევის მეთოდები

ამ კვლველვაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდა წყვილებს შორის ძალადობრივი ურთიერთობების მოცულობისა და სიხშირის და მსგავსი გამოცდილების მქონე ადამიანების დემოგრაფიული პროფილის შესასწავლად.

კვლევის შერჩევა იყენებს შერჩევის სტრატიფიცირებულ მიდგომას. შერჩევის დიზაინის ძირითადი მიზანი იყო მიეღო ძალადობის სავარაუდო გავრცელება სქესისა და ასაკის ჯგუფებში.

მთლიანად ჩატარდა 1030 ინტერვიუ 7 დიდი ქალაქის (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, გორი, ზუგდიდი, თელავი) მცხოვრებელ 16-26 წლის ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელ ქალებში და მამაკაცებში .

კითხვარი შეიქმნა ქვეყნის საჭიროებებიდან გამომდინარე და შეიცავს 42 სხვადასხვა მტკიცებას სირთულეებისა და ძალადობრივი ურთიერთობების შემთხვევების შესახებ. ცვლადების დაჯგუფების შედეგად ძალადობის 4 მთავარი ტიპი გამოიკვეთა: ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სექსუალური და ეკონომიკური. გარდა ამისა, კითხვარის შინაარსმა და ზემოთ ხსენებულმა ფაქტორებმა მოგვცა საშუალება ძალადობრივი ქცევის ორი დამატებითი ქვეჯგუფი გამოგვეყო: მაკონტროლებელი ქცევა და ძალადობა ტექნოლოგიების გამოყენებით.

III. კვლევის მიგნებები და შედეგები

1 შერჩევის მახასიათებლები

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1030 ინტერვიუ ჩატარდა საქართველოს 7 დიდი ქალაქის მცხოვრებელ ქალებთან და მამაკაცებთან. კვლევის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე სქესის ფარგლებში რესპოდენტთა რაოდენობა თანაბარი იყო.

კვლევის მიხედვით, 16-26 წლის ასაკობრივ ჯგუფში მთლიანობაში ქართველების 86%-ს უცხოვრია ვინმესთან ურთიერთობაში ან აქვთ/ჰქონიათ ურთიერთობა ვინმესთან წარსულში. განაწილების ტენდენცია იმ ხალხისა, რომლებსაც უცხოვრიათ ან ჰქონიათ ურთიერთობა ვინმესთან და რომლებსაც არასდროს უცხოვრიათ ან ჰქონიათ ურთიერთობა ვინმესთან მსგავსია განსხვავებულ ქვეჯგუფებში. მაგალითად, ქართველი ქალების 85%-ს და ქართველი მამაკაცების 86%-ს (გრაფიკი 1.1) აქვს ზემოთ აღნიშნულის გამოცდილება. მცირე განსხვავება გამოიკვეთა ასაკობრივი ჯგუფის ფარგლებში. მაშასადამე, 20-26 წლის ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლების 89%-ს აქვს ვინმესთან ურთიერთობის ან ცხოვრების გამოცდილება, მაშინ როცა ამ სეგმენტის პროცენტულობა 16-20 წლის ასაკობრივ ჯგუფში მხოლოდ 81%-ია.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი აჩვენებს ინ ადამიანების განაწილებას რომელთაც აქვთ ან არ აქვთ ვინმესთან ცხოვრების ან ურთიერთობის გამოცდილება ასაკობრივი ჯგუფის, სქესის და საცხოვრებელი ადგილის ფარგლებში. ჩანს, რომ მონაცემები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება სხვადასხვა ქვეჯგუფების საერთო ტენდენციისგან. ტენდენცია იგივეა ქვეჯგუფებში - 10-დან 8-9 ადამიანს აქვს პარტნიორთან ცხოვრების ან ვინმესთან ურთიერთობის გამოცდილება ახლა ან წარსულში.

ცხრილი 1.1

პროცენტული მაჩვენებელი და რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების, საცხოვრებელი ადგილის და პარტნიორთან ცხოვრების გამოცდილების მიხედვით

	შეწონილი პროცენტი	შეუწონავი რიცხვი
16-20 წლის ასაკობრივი ჯგუფი	40%	425
21-26 წლის ასაკობრივი ჯგუფი	60%	605
ცხოვრობს ან უცხოვრია ვინმესთან ურთიერთობაში	86%	883
არ უცხოვრია ვინმესთან ურთიერთობაში	14%	147
თბილისი	69%	701
სხვა ქალაქები	31%	329

გრაფიკი 1.1
იმ ადამიანების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებსაც აქვთ პარტნიორთან ცხოვრების გამოცდილება, იმყოფებიან ურთიერთობაში, ან წარსულში წარმოადგენდნენ სხვადასხვა ქვეჯგუფს.



ქვემოთ მოცემული გრაფიკები აჩვენებს იმ ადამიანების შერჩევის სხვადასხვა დემოგრაფიულ მახასიათებლებს, რომლებსაც ჰყოლიათ პარტნიორი. ძალადობრივი გამოცდილების მქონე და არ მქონე ადამიანების ქვეჯგუფების დემოგრაფიული მახასიათებლებით გაანალიზებისას მხოლოდ მცირე განსხვავება გამოჩნდა პროცენტულობაში. ამ ხალხის დემოგრაფიულმა პროფილმა აჩვენა, რომ უმრავლესობა (76%; გრაფიკი 1.2) იმ ადამიანებისა ვისაც გამოუცდია ძალადობივი ურთიერთობა პარტნიორთან არიან თბილისის მცხოვრებლები, ხოლო დანარჩენი ნაწილი (24; გრაფიკი 1.2) ცხოვრობენ სხვა რეგიონულ ქალაქებში: ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, გორი, ზუგდიდი თელავი.

კვლევაში მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობას, რომლებსაც აქვთ ურთიერთობაში ყოფნის გამოცდილება აქვთ სრული საშუალო განათლება (50%; გრაფიკი 1.4), არიან პარტნიორის გარეშე (40%; გრაფიკი 1.6) ან ცხოვრობენ ცალკე პარტნიორთან ერთად (37%; გრაფიკი 1.6). 16-26 წლის ასაკობრივი ჯგუფის ფარგლებში ხალხის უმრავლესობა დასაქმების სტატუსით ჯერ კიდევ უნივერსიტეტის სტუდენტები არიან, პროცენტულობით მეორე ადგილი დასაქმებულ ხალხს უჭირავს (30%; გრაფიკი 1.5). განაწილების ეს ტენდენცია იგივეა პარტნიორისგან ძალადობრივი გამოცდილების მქონე და არ მქონე ადამიანების ქვეჯგუფებში. იგივე ვრცელდება მშობლების ქორწინების სტატუსზე, უმაღლესი განათლების დონეზე და მშობლების დაბადების ადგილზე. ერთი მაინც სახის ძალადობის არსებობის მონაცემები აჩვენებს, რომ პროცენტულობაში მხოლოდ 2%-დან 5%-მდე განსხვავებაა. მაშასადამე, იმ ადამიანებს შორის რომლებსაც ჰქონიათ პარტნიორის მხრიდან ძალადობრივი გამოცდილება და რომლებსაც არ ჰქონიათ, დემოგრაფიული პროფილის ფარგლებში მნიშვნელოვანი განსხავებები არ გვხვდება და სხვადასხვა პარამეტრების განაწილება თითქმის იგივენაირია, როგორც იმ სეგმენტის რომელსაც აქვს ვინმესთან ცხოვრებისა თუ ურთიერთობის გამოცდილება ახლა ან წარსულში.

გრაფიკი 1.2

პარტნიორის მხრიდან ძალადობის გამოცდილების მქონე მოსახლეობის არეალის ჭრილში.



გრაფიკი 1.3

მშობლის დაბადების ქვეყანა, პარტნიორს მხრიდან ძალადობის გამოცდილების მქონეთა ჭრილში.



გრაფიკი 1.4

პარტნიორის მხრიდან ძალადობრივი გამოცდილების ქონა განათლების დონის ჭრილში



გრაფიკი 1.5

განათლების დონეპარტნიორის მხრიდან ძალადობრივი გამოცდილების ქონის ჭრილში.



გრაფიკი 1.6

პარტნიორის მხრიდან ძალადობრივი გამოცდილების ქონა მშობლების ოჯახური მდგომარეობის ჭრილში.



გრაფიკი 1.7

მშობლების ოჯახური მდგომარეობა პარტნიორის მხრიდან ძალადობრივი გამოცდილების ქონის ჭრილში



გრაფიკი 1.8

პარტნიორის მხრიდან ძალადობრივი გამოცდილების ქონა დედის განათლების დონის ჭრილში



გრაფიკი 1.9

პარტნიორის მხრიდან ძალადობრივი გამოცდილების ქონა მამის განათლების დონის ჭრილში



16-26 წლის ასაკობრივ ჯგუფში პარტნიორის ყოლის გამოცდილების მქონე ადამიანების მხოლოდ 3%-ს ყავს სულ მცირე ერთი მშობელი, რომელიც დაიბადა სხვა ქვეყანაში (გრაფიკი 1.3). ამ სეგმენტის უმრავლესობა დაბადებულია უკრაინაში ან რუსეთში (გრაფიკი 1.10)

გრაფიკი 1.10
არა-ქართველი მშობლების დაბადების ქვეყანა



2 პარტნიორთან ურთიერთობაში ყოფნის გამოცდილება

ცხრილი 1.2

	შეწონილი პროცენტი	შეუწონავი რიცხვი
ჰქონდა ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილება	71%	629
ჰქონდა ფიზიკური ძალადობის გამოცდილება	13%	116
ჰქონდა სექსუალური ძალადობის გამოცდილება	14%	126
ჰქონდა ეკონომიკური ძალადობის გამოცდილება	12%	102
ჰქონდა პარტნიორის მხრიდან კონტროლის გამოცდილება	69%	611

ძალადობის განაწილება შეისწავლა რიგი ფაქტორების გამოყენებით - სიტუაციები, რომლებშიც ყოფილან ურთიერთობაში ყოფნისას თავიანთ ახლანდელ თუ ყოფილ პარტნიორთან. კვლევის მიზანია მოიპოვოს ინფორმაცია ოთხი ტიპის ძალადობაზე: ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სექსუალური და ეკონომიკური, რომელიც მიღწეულია სხვადასხვა ცვლადების შინაარსის მიხედვით დაჯგუფებით.

მთლიანობაში, კვლევა აჩვენებს რომ პარტნიორის მხრიდან ძალადობის არსებობა ნაწილდება სხვადასხვანაირად სხვადასხვა ტიპის ძალადობის ფარგლებში. მაშასადამე, ძირითადად, პარტნიორის მხრიდან ფსიქოლოგიურ ძალადობას ყველაზე მაღალი პროცენტულობა აქვს, მაშინ როცა პარტნიორისგან ფიზიკური, სექსუალური და ეკონომიკური ძალადობა შედარებით დაბალი პროცენტული რაოდენობით გვხვდება იმ ხალხში ვისაც სულ მცირე ერთხელ ჰყოლია პარტნიორი (შესაბამისად 71%, 13%, 14% 12%. გრაფიკი 2.1) ჯამური სურათის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდების 72%-ს ვისაც ჰყოლია პარტნიორი ერთხელ მაინც, ჰქონია ძალადობრივი ქცევის გამოცდილება ერთხელ მაინც. თუმცა, რეალურად, ძალადობის ზოგადი მაღალი მაჩვენებეი გამოწვეულია ფსიქოლოგიური ძალადობის ხშირი გამოვლენით. შესაბამისად, იმდენად რამდენადაც ახალგაზრდების დიდ

წილს გამოუცდია ფსიქოლოგიური ძალადობა, ზოგადად ძალადობრივ ქცევასთან შეხების სიხშირე ჯამურად მაღალია.
მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ძალადობის თითოეულ გამოყოფილ კატეგორიაში იმ მამაკაცების რაოდენობა, რომლებსაც შესაბამისი ტიპის ძალადობა გამოუცდიათ უფრო მაღალია ვიდრე ქალების:

- ფსიქოლოგიური ძალადობა - მამაკაცები 51%; ქალები 49%;
- ფიზიკური ძალადობა - მამაკაცები 55%; ქალები 45%;
- სექსუალური ძალადობა - მამაკაცები 56%; ქალები 44%;
- ეკონომიკური ძალადობა - მამაკაცები 51%; ქალები 49%;

ეს შედეგები შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ მამაკაცი რესპონდენტები უფრო მეტად მიაკუთვნებენ ზოგიერთ თავიანთ გამოცდილებას ძალადობას, ვიდრე ქალები. ქალი რესპონდენტები შიშის საფუძველზე უფრო მიდრეკილნი არიან დაფარონ თავიანთი პარტნიორის მხრიდან ძალადობრივი გამოცდილება.
კითხვარის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიკვეთა ქცევის სხვა ქვეჯგუფი: მაკონტროლებელი ქცევა. ამ უკანასკნელის გაანალიზების შედეგად გამოჩნდა, რომ იმ ადამიანების პროცენტულობა რომელთაც გამოუცდიათ მაკონტროლებელი ქცევა თითქმის ისეთივე მაღალია (69%; გრაფიკი 2.2), როგორც იმ ადამიანების რომელთაც გამოუცდიათ ფსიქოლოგიური ძალადობა. ფსიქოლოგიური ძალადობის კატეგორია მოიცავს ყველა იმ ფაქტორს, რომელიც დაჯგუფებულია მაკონტროლებელ ქცევაში. ამის გამო, მაკონტროლებელი ქცევის მაღალი პროცენტულობა იწვევს პარტნიორებს შორის ფსიქოლოგიური ძალადობის დიდ განაწილებას.
ტერმინი ძალადობა ტექნოლოგიების გამოყენებით მიუთითებს კავშირზე ძალადობასა და ტექნოლოგიას შორის. კვლევამ გამოკვეთა, რომ თითქმის ნახევარი იმ ადამიანებისა, რომლებსაც ჰქონია ურთიერთობა ან უცხოვრია ვინმესთან ჰქონიათ ისეთი სიტუაციები, სადაც გამოუცდიათ ტექნოლოგიის სხვადასხვა საშუალებით ძალადობა, მაგ. პირადი მოწყობილობების ბოროტად გამოყენება კონტროლის მიზნით, სათვალთვალო აპლიკაციების გამოყენება, სენსიტიური შინაარსების გასაჯაროვება, ზარებითა და ტექსტური შეტყობინებებით დევნა და შეწუხება და სხვა. (გრაფიკი 2.2)

გრაფიკი 2.1

პარტნიორის მხრიდან სხვადასხვა სახის ძალადობის არსებობა.





გრაფიკი 2.2
მაკონტროლებელი ქცევისა და ტექნოლოგიების გამოყენებით ძალადობის არსებობა

აღსანიშნავია, რომ ძალადობრივი ქცევის გამოცდის ხანგრძლივობა განსხვავდება ძალადობის კატეგორიების მიხედვით. სხვა სიტყვებით, ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევის მქონდე ადამიანების მხოლოდ 19%-მა (გრაფიკი 2.4) გამოცადა ეს ქცევა დიდი ხნის განმავლობაში, რაც შეეხება ფიზიკურ, სექსუალურ და ეკონომიკურ ძალადობას, ეს რიცხვი მერყეობს 35%-41% შორის (გრაფიკი 2.4)

ასევე საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ ცვლადისთვის მონაცემები საერთოა ფსიქოლოგიურ ძალადობასა და მაკონტროლებელ ქცევაში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი (ცხრილი 1.3) აჩვენებს 10 ყველაზე ხშირად მოყვანილ შემთხვევების არსებობას, რომლებიც ასოცირებულია ძალადობასთან სქესის ჭრილში. კვლევამ გამოკვეთა პარტნიორების მხრიდან იმ ადამიანის მდებარეობის და აქტივობის ცოდნის დაჟინებული მოთხოვნა, რომელთანაც არიან ურთიერთობაში, რასაც მოყვება მათი ტელეფონის ბოროტად გამოყენება და ექსპრესიული ეჭვიანობა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს ტენდენცია უცვლელი რჩება ქალებში, მაშინ როცა მამაკაცებში პარტნიორის ადგილმდებარეობის დაჟინებით მოთხოვნა და მობილური ტელეფონის ბოროტად გამოყენება ერთი და იგივე სიხშირით ვლინდება, ხოლო მეორე ადგილი სიხშირით ექპრესიულ ეჭვიანობას უჭირავს. მცირე განსხვავება გვხვდება ზოგიერთ სხვა ფაქტორებშიც. მაგალითად, ქალების 19%-ს გამოუცდია ურთიერთობაში წესების დაკისრება პარტნიორის მხრიდან, მაშინ როცა ეს რიცხვი მამაკაცებისთვის 16%-ია; მამაკაცების 15% იძულებული გახდა შეეწყვიტა თავის ძველ მეგობართან ლაპარაკი, ასეთი შემთხვევა ქალების 21%-ს გამოუცდია, და ა.შ.

გრაფიკი 2.1.1
მათი ოჯახური მდგომარეობა, ვისაც ჰქონია ერთი სახის ძალადობის გამოცდილება მაინც



ცხრილი 1.3
სქესის ჭრილში ძალადობის შემთხვევების განაწილება

ფაქტორები	საერთო	მამაკაცი	ქალი
დაჟინებით მოითხოვდა ცოდნოდა და ხართ და რას აკეთებთ	43%	44%	42%
მობილური ტელეფონის ბოროტად გამოყენება, მისი გაკონტროლება, შემოწმება	41%	44%	38%
ექპრესიულად ეჭვიანობა „ვის ელაპარაკე? ალბათ რაიმე გაქვს მასთან!“	33%	38%	28%
გეუბდნებოდათ რომ ის ცუდად იყო თქვენი საქციელის გამო და თქვენ ეს უნდა შეგეცვალათ	30%	33%	28%
დაგდევდათ, გაწუხებდათ ზარებით, შეტყობინებებით, იმეილებით, გითვალთვალებდათ ურთიერთობის დროს/დაშორების შემდეგ	24%	24%	25%
იტყუებოდა დაშორების მიზეზების შესახებ, ამბობდა რომ თქვენ გამოიწვიეთ დაშორება	24%	26%	23%
თავს დამნაშავედ გაგრძნობინებდათ მეგობრებთან ან ვინმე სხვასთან დროის გატარების გამო მის ნაცვლად	22%	21%	24%
დაშორების შემდეგ თქვენთან შეხვედრას ცდილობდა თქვენი სურვილის მიუხედავად, აწყობდა „შემთხვევით“ შეხვედრებს	21%	22%	20%
დაჟინებით მოითხოვდა შეგეწყვიტათ საუბარი ადამიანთან, რომელთანაც მანამდე მეგობრობდით	18%	15%	21%
ის ყოველთვის აყენებდა წესებს ან დღის წესრიგს ურთიერთობაში, რა უნდა აკეთოთ (როდის, რა, სად უნდა წახვიდეთ...), რომ დაეკმაყოფილებინა თავისი კომფორტი მაშინაც კი თუ ეს თქვენი სურვილის წინააღმდეგ ხდებოდა	18%	16%	19%

გარდა ამისა, შედეგებმა აჩვენა რომ ფსიქოლოგიური ძალადობის განმეორებითობას პარტნიორებში ბევრად უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს ფიზიკურ, სექსუალურ და ეკონომიკურ ძალადობასთან შედარებით. სხვადასხვა ტიპის ძალადობის მიხედვით დაყოფილი ქვეჯგუფების შედარებისას აღმოჩნდა, რომ პარტნიორის მხრიდან ძალადობრივი ქცევა ერთზე მეტჯერ ძირითადად ფსიქოლოგიური ძალადობის,

მაკონტროლებელი ქცევისა და ეკონომიკური ძალადობის შემთხვევებში გვხვდება. რაც შეეხება დანარჩენ ორ ტიპს, ძალადობრივი ქცევა ურთიერთობის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ გამოიხატება პარტნიორის მიერ (გრაფიკი 2.3).

გრაფიკი 2.3

სხვადასხვა სახის ძალადობის განმეორებითობა



გრაფიკი 2.4

სხვადასხვა სახის ძალადობრივი ქცევის განაწილება დროში



2.1 ფსიქოლოგიური ძალადობა

მონაცემების მიხედვით ფსიქოლოგიური ძალადობის განაწილება იმ ხალხის ჯგუფში ვისაც აქვს ვინმესთან ცხოვრების ან ურთიერთობის გამოცდილება არის 71% (გრაფიკი 2.1). ამ სეგმენტის ფარგლებში 32%-ს გამოუცდია ეს უკანასკნელი ერთხელ თავიანთ ურთიერთობაში, ხოლო დანარჩენ 68%-ს პარტნიორის მიერ ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები გამოუცდია ერთზე მეტჯერ ურთიერთობის განმავლობაში (გრაფიკი 2.4)

ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილების განაწილება ასაკობრივი ჯგუფის ფარგლებში გარკვეულწილად განსხვავდება - 16-20 წლის ასაკობრივი ჯგუფის წევრების 76%-ს გამოუცდია ფსიქოლოგიური ძალადობა ერთხელ მაინც, ხოლო ეს რიცხვი 21-26 წლის ასაკობრივ ჯგუფში მხოლოდ 68%-ია. თუმცაღა, ასაკისა და სქესის მიხედვით ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილების მქონე სუბიექტების ანალიზი ამ ორს შორის მნიშვნელოვნად განსხვავებულ განაწილებას აჩვენებს. სხვა სიტყვებით, პარტნიორის მიერ ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილების მქონე ადმიანების უმრავლესობა 21-26 წლის აღმოჩნდა (გრაფიკი 2.5).

გრაფიკი 2.1.1
ფსიქოლოგიური ძალადობის განაწილება ასაკობრივი კატეგორიების ჭრილში



გრაფიკი 2.1.2
ასაკობრივი კატეგორიების განაწილება ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილების მქონე ადამიანებში



რაც შეეხება სქესის ფარგლებში განაწილებას, იმ მამაკაცების 73%-ს და ქალების 69%-ს, რომლებსაც პარტნიორის ყოლის გამოცდილება აქვთ (გრაფიკი 2.6) გამოუცდიათ ფსიქოლოგიური ძალადობა. კვლევამ ხაზი გაუსვა ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევების თანაბარ რაოდენობას ქალთა და მამაკაცთა ქვეჯგუფებში, განაწილება შესაბამისად არის 51% და 49% (გრაფიკი 2.7), მაშასადამე, პარტნიორის მიერ ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილების მქონდე ადამიანების 51% მამაკაცია და 49% ქალი.

გრაფიკი 2.1.3
ფსიქოლოგიური ძალადობის განაწილება სქესის ჭრილში



გრაფიკი 2.1.4
სქესის განაწილება ძალადობის გამოდილების მქონე ადამიანებში



გარდა ამისა, იმ ხალხის უმრავლესობა, ვისაც გამოუცდია პარტნიორის მიერ ფსიქოლოგიური ძალადობა, ერთზე მეტჯერ მოუწიათ ასეთი ქცევის წინაშე ყოფნა ურთიერთობის განმავლობაში (გრაფიკი 2.3), კერძოდ, 68%. თუმცა, მსგავსი შემთხვევების არსება მხოლოდ მოკლევადიანი იყო ძირითად შემთხვევებში. სხვა სიტყვებით, ხალხის უმრავლესობა (81%) ამ სეგმენტში აღნიშნავს, რომ მათ არ

გამოუცდიათ პარტნიორის მიერ ფსიქოლოგიური ძალადობა დიდი ხნის განმავლობაში, მაგალითად თვეები (გრაფიკი 2,4).

აღსანიშნავია, რომ ფსიქოლოგიური ძალადობის განსხვავებულ ფაქტორებს შორის პარტნიორის მდებარეობისა და საქმიანობის ცოდნის დაჟინებული მოთხოვნა ძალადობის ყველაზე ხშირად აღნიშნული მეთოდია. უფრო კონკრეტულად, ხალხის 61% პროცენტი, ვისაც ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევა ჰქონდათ, აღნიშნავენ, რომ მათი პარტნიორები დაჟინებით მოითხოვდნენ ცოდნოდათ სად იყვნენ ისინი და რას აკეთებდნენ. მობილური ტელეფონის ბოროტად გამოყენება და მისი გაკონტროლება კიდევ ერთი ხშირად გამოხატული შემთხვევაა ფსიქოლოგიური ძალადობისა, რომელიც აღნიშნულია პარტნიორის მიერ ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილების მქონე ახალგაზრდების 58%-ის მიერ. გარდა ამისა, პარტნიორის მხრიდან ექსპერიული ეჭვიანობა რესპონდენტების თითქმის ნახევარს გამოუცდია (46%). აქედან გამომდინარე, პარტნიორის ტელეფონის, ლოკაციისა და აქტივობის კონტროლი და ექპრესიული ეჭვიანობა არის ფსიქოლოგიური ძალადობის სამი ძირითადად გამოხატული ტიპი (ცხრილი 2.1.1).

ცხრილი 2.1.1

ფსიქოლოგიური ძალადობის სხვადასხვა სიტუაციების/ფაქტორების განაწილება

ფაქტორები	შეწონილი პროცენტი
დაჟინებით მოითხოვდა ცოდნოდა და ხართ და რას აკეთებთ	61%
მობილური ტელეფონის ბოროტად გამოყენება, მისი გაკონტროლება, შემოწმება	58%
ექპრესიულად ეჭვიანობა „ვის ელაპარაკე? ალბათ რაიმე გაქვს მასთან!“	46%
გეუბდნებოდათ რომ ის ცუდად იყო თქვენი საქციელის გამო და თქვენ ეს უნდა შეგეცვალათ	43%
დაგდევდათ, გაწუხებდათ ზარებით, შეტყობინებებით, იმეილებით, გითვალთვალებდათ ურთიერთობის დროს/დაშორების შემდეგ	34%
იტყუებოდა დაშორების მიზეზების შესახებ, ამბობდა რომ თქვენ გამოიწვიეთ დაშორება	34%
თავს დამნაშავედ გაგრძნობინებდათ მეგობრებთან ან ვინმე სხვასთან დროის გატარების გამო მის ნაცვლად	31%
დაშორების შემდეგ თქვენთან შეხვედრას ცდილობდა თქვენი სურვილის მიუხედავად, აწყობდა „შემთხვევით“ შეხვედრებს	30%
დაჟინებით მოითხოვდა შეგეწყვიტათ საუბარი ადამიანთან, რომელთანაც მანამდე მეგობრობდით	25%
ის ყოველთვის აყენებდა წესებს ან დღის წესრიგს ურთიერთობაში, რა უნდა აკეთოთ (როდის, რა, სად უნდა წახვიდეთ...)	25%
ემოციური შანტაჟი („თუ რამეს არ გააკეთებ, დაგშორდები“, „თუ მიმატოვებ, თავს მოვიკლავ“,	23%
ცდილობდა შეეზღუდა თქვენი კონტაქტი თქვენს მეგობრებთან და ოჯახთან	19%
გამცირებდათ ფიზიკურად, გეუბნებოდათ „არაფრად ღირხარ“, შენიშვნებს აკეთებდა თქვენს გარეგნობაზე, „წონა უნდა დაიკლო“, „არ გაქვს კუნთები“, „სულელი ხარ“, „მარტივი ხარ“ ...	16%
მიზანმიმართულად აკეთებდა ისეთ რაღაცებს რომ შეეშინებინეთ ან დაგმუქრებოდათ	16%
თქვენზე ავრცელებდა ტყუილებს სხვა ხალში	15%
აშორების შემდეგ, საერთო მეგობრებს შეაწყვეტინა თქვენთან საუბარი	14%
თქვენი სურვილის საწინააღმდეგოდ ასაჯაროებდა თქვენს ფოტოებს	12%
დაშორების შემდეგ აწუხებდა თქვენს ახალ პარტნიორს დიდი ხნის განმავლობაში	10%

თქვენი მენტალური ჯანმრთელობის ეჭვქვეშ დასაყენებლად ახორციელებდა აქტივობებს (მიზანმიმართული დაბნეულობა, დისორიენტაცია, ნივთების დამალვა ..)	8%
სათვალთავლო აპლიკაციის გამოყენება, რათა გაეგო სად იყავით	7%
დაშორების შემდეგ, ავრცელებდა პირად ინტიმურ იფრომაციას, მაგალითად თქვენი სხეულის შესახებ, სექსუალურ უპირატესობებზე და სხვა ინფორმაციებზე რომლებიც უთხარით პირადად	6%
არ მოგცათ უფლება შესულიყავით ბინაში/სახლში სადაც ცხოვრობდით	5%
დაგემუქრათ სიკვდილით	4%
გაასაჯაროვა თქვენი ინტიმური ფოტოები ან საკონტაქტო ინფორმაცია ეროტიკულ კონტექსტში	2%
ახდენდა თქვენს ცრუ დადანაშაულებას(თქვენს მეგობრებში) გაუპატიურებაში/ ნების საწინაარმდეგო სექსუალური კავშირის დაძალებაში	2%
მიზანმიმართულად შეიტანა ცრუ სასჯელი	1%

2.2 ფიზიკური ძალადობა

ფიზიკური ძალადობა გამოცდილი აქვს 16-26 წლის ასაკობრივი ჯგუფის მხოლოდ 13%-ს (გრაფიკი 2.1). ადამიანების დაყოფა სქესის ჭრილში და ასაკობრივ ჯგუფად ასახავს განსხვავებებს განაწილებაში. კერძოდ, 16-20 წლის ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლების 18%-ს აქვს პარტნიორისგან მსგავსი ქცევის გამოცდილება, მაშინ როცა პროცენტულობა მაღალ ასაკობრივ ჯგუფში (21-26) მხოლოდ 10%-ია (გრაფიკი 2.2.1). ფიზიკური ძალადობის გამოცდილების მქონე ადამიანების სეგმენტის ანალიზმა არ აჩვენა დიდი განსხვავება გადანაწილებაში ასაკის ჭრილში. კონკრეტულად, 16-20 წლის ასაკობრივ ჯგუფში ფიზიკური ძალადობა გამოუცდია 51%, ხოლო დანარჩენი 21-26 წლის ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს (გრაფიკი 2.2.2)

გრაფიკი 2.2.1
ფიზიკური ძალადობის განაწილება ასაკობრივ ჯგუფების ჭრილში



გრაფიკი 2.2.2.
ასაკობრივი ჯგუფების განაწილებაფიზიკური ძალადობის მქონე ადამიანებში



რაც შეეხება გადანაწილებას სქესის ჭრილში, მამაკაცი რესპონდენდტების 15%-ს და ქალი რესპონდენტების 12%-ს ერთხელ მაინც გამოუცდია რამე სახის ფიზიკური ძალადობა. პარტნიორების მხრიდან ფიზიკური ძალადობის გამოცდილების მქონე ადამიანების ჯგუფის მონაცემები გვიცვენებს, რომ მათი 55% არის მამაკაცი, ხოლო

45% არის ქალი. როგორც ზემოთ აღინისნა, მამაკაცები შესაძლოა უფრო ხშირად აღნიშნავენ თავიანთ ურთიერთობებთან დაკავშირებულ გამოცდილებებს, ვიდრე ქალები რადგან ეს უკანასკნელი დაკავშირებულია რისკებთან, რომლებიც თავიანთი პირადი ცხოვრების დეტალების სხვებისთვის გაზიარებისგან წარმოიქმნება.

გრაფიკი 2.2.3
ფიზიკური ძალადობის განაწილება ასაკობრივ ჯგუფების ჭრილში



გრაფიკი 2.2.4
ასაკობრივი ჯგუფების განაწილებაფიზიკური ძალადობის მქონე ადამიანებში



ყველა იმ დებულებას რომელიც დაჯგუფდა ფიზიკური ძალადობის ტიპში აქვს 7%-ზე მეტი გავრცელება. ყველაზე ხშირად გამოხატული ფიზიკურ ძალადობასთან ასოცირებული ქცევა აღმოჩნდა პარტნორისთვის ხელის კვრა ან სახეში გარტყმა. კერძოდ, ფიზიკური ძალადობის გამოცდილების მქონე ადამიანების 59% აღნიშნავს მსგავსი ქცევის გამოცდილებას თავიანთ ურთიერთობაში (ცხრილი 2.2.1). ასევე აღსანისნავია რომ თმის მოქაჩვა ფართოდ გავრცელებული ფაქტორია იმ ახალგაზრდა წყვილებში, რომლებსაც გამოუცდიათ ფიზიკური ძალადობა, ამ სეგმენტის ნახევარი მიუთითებს, რომ აქვთ მსგავსი გამოცდილება.

ცხრილი 2.2.1
ფიზიკური ძალადობის სხვადასხვა სიტუაციების/ფაქტორების განაწილება

ფაქტორები	შეწონილი პროცენტი
თქვენთვის ხელი კვრა ან სახეში გარტმა	59%
გქაჩავდათ ან გგლეჯდათ თმებს	51%
გესროდათ ან გარტყამდათ მყარ ნივთებს	27%
გირტამდათ მუშტებით ან ფეხებით	24%
ქონია თქვენი დახრჩობის, გაგუდვის მცდელობა	15%
თავს გარტყმევინებდათ კედელზე ან საგნებზე	14%
თქვენს მიმართ იყენებდა დანას, თოფს, დამაპარალიზებელ, ელექტრონულ, ან სხვა იარაღს	10%
მიზანმიმართულად გაყენებდათ ზიანს (კიბეზე დაგორება; ფეხის დარტყმა; მოძრავი მანქანიდან გადაგდება, და სხვ.)	9%
დაუწვიხართ ან დაუმდუღრიხართ	7%

ფსიქოლოგიური ძალადობის საპირისპიროდ, ფიზიკური ძალადობის ეპიზოდებს ურთიერთობებში ადგილი აქვს, უმეტესად, მხოლოდ ერთხელ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალგაზრდათა უმრავლესობა (65%; გრაფი 2.4), რომელთაც გამოუცდიათ ფიზიკური ძალადობა პარტნიორის მხრიდან აღნიშნავს, რომ ეს მოხდა მხოლოდ ერთხელ და 59%-ს გამოუცდია ფარული ძალადობა მცირე ხნის განმავლობაში გრაფი 2.5). ამასთან, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობების შედარებისას, განსხვავება იჩენს თავს დროსთან მიმართებით. ახალგაზრდების მნიშვნელოვნად დიდი სეგმენტი, რომელთაც გამოუცდიათ ფსიქოლოგიური ძალადობა, აღნიშნავს, რომ ეს სიტუაცია გრძელდებოდა უფრო დიდი ხნის განმავლობაში, ვიდრე ფიზიკური ძალადობა.

2.3 სექსუალური ძალადობა

ზოგადად, ურთიერთობაში ყოფნის გამოცდილების მქონე ახალგაზრდების 12%-ს პარტიორისგან სექსუალური ძალადობის შემთხვევა ჰქონდათ. ამ სეგმენტის გადანაწილებამ ასაკობრივ ჯგუფში აჩვენა, რომ 16-20 წლის ასაკობრივ ჯგუფში ახალგაზრდების 17%-ს ა, უკანასკნელის გამოცდილება ჰქონდათ, მაშინ როდესაც ეს მონაცემი უფრო მაღალ ასაკობრივ ჯგუფში (20-26) მხოლოდ 13%-ია.

გრაფიკი 2.3.1
სექსუალური ძლადობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების ჭრილში



გრაფიკი 2.3.2
ასაკობრივი კატეგორიის განაწილება სექსუალური ძალადობის მქონე ადამიანებში



რაც შეეხება განაწილებას სქესის ჭრილში, სექსუალური ძალადობის გამოცდილების მქონდე ახალგაზრდების 56% მამაკაცია, ხოლო 44% ქალი. საინტერსოა ის ფაქტი, რომ მამაკაცების 16%-ს 16-26 წლის ასაკობრივ ჯგუფში, რომლებსაც ურთიერთობა ჰქონიათ ვინმესთან ერთხელ მაინც გამოუცდიათ სექსუალურ ძალადობასთან ასოცირებული ქცევა და ქალების ქვეჯგუფის 12%-ს ჰქონდა მსგავსი გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ ახსნა ამ ტიპის ძალადობასაც ერგება. კერძოდ, როგორც ზემოთ აღინიშნა, სავარაუდოა, რომ რომ მამაკაცი

რესპონდენტები უფრო მეტად აღნიშნავენ თავიანთი ურთიერთობების განმავლობაში მიღებულ გამოცდილებებს კითხვარში, ვიდრე ქალები, რომლებლებიც თავიანთი პირადი ცხოვრების დეტალების გასაჯაროების შემთხვევაში კულტურულად განპირობებული განსჯის წინაშე მოუწევთ დადგომა.

გრაფიკი 2.3.3
სექსუალური ძალადობის განაწილება სქესის ჭრილში



გრაფიკი 2.3.4
სქესის განაწილება სექსუალური ძალადობის გამოცდილების ქონაში



პარტნიორის შეხება და კოცნა მათი სურვილის საწინააღმდეგოდ არის ყველაზე ხშირად აღნიშნული ქცევა, იმ ახალგაზრდების მიერ, ვისაც გამოუცდიათ სექსუალური ძალადობა. დამატებით, ყველაზე ნაკლებად გამოხატული ქცევა არის პარტნიორის მხრიდან ძალადობა აქტის დროს (ცხრილი 2.3.1). თუმცა, ეს იშვიათი სიტუაცია აღნიშნული იქნა შემთხვევათა 17%-ში, ვისაც გამოუცდია სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან.

ცხრილი 2.3.1
სექსუალური ძალადობის სხვადასხვა სიტუაციების/ფაქტორების განაწილება

ფაქტორები	შეწონილი პროცენტი
გეხებოდათ ან გკოცნიდათ თქვენი ნების საწინააღმდეგოდ	79%
გაიძულებდათ სექსუალირ კავშირს ან სხვა სექსუალური სახის ქმედებას თქვენი ნების საწინააღმდეგოდ	32%
ავრცელებდა ინფორმაციას (მათ შორის მცდარს) ძალიან პირად ინტიმურ საკითხებზე, სექსუალობაზე, ლტოლვებზე	24%
მიუხედავად ჩემი დაჟინებული უარისა, მაიძულებდა გამეგზავნა მისთვის ფოტოები ჩემი შიშველი გამოსახულებით, ვულგარულ პოზებში; ან თავად სურდა გადაეღო ჩემთვის ასეთი ფოტოები; ან ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ მიღებდა ასეთ ფოტოებს.	19%
მოუყენებია თუ არა თქვენთვის დაზიანება, როდესაც ახორციელდებდა სექსუალურ კავშირს თქვენი ნების საწინააღმდეგოდ? ხდებოდა თუ არა ის ასეთ დროს სასტიკი, დაუნდობელი ?	17%

სექსუალური ძალადობის ქცევის განმეორებითობის შესწავლა უჩვენებს, რომ უმრავლეს შემთხვევებში, აღნიშნული ქცევას ურთიერთობებში ადგილი აქვს მხოლოდ ერთხელ, ისევე როგორც ფიზიკურ ძალადობას. თუმცა, განსხვავება ერთჯერად და განმეორებით სექსუალურ ძალადობის შემთხვევებში უფრო მცირე აღმოჩნდა, ვიდრე ფიზიკური ძალადობის იმავე ცვლადებს შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალგაზრდათა 55%-ს სექსუალური ძალადობა ურთიერთობაში გამოუცდია მხოლოდ ერთხელ, ხოლო დანარჩენ 45%-ს რამდენჯერმე, განსხვავებით ფიზიკური ძალადობის შესახებ მონაცამებისგან, სადაც მხოლოდ 35%-ს ჰქონდა ძალადობრივი ქცევის გამოცდილება ერთზე მეტჯერ (გრაფიკი 2.3). რაც შეეხება გავრცელებას დროსთან მიმართებით, ადამიანთა უმრავლესობა არ განიცდიდა სექსუალურ ძალადობას პარტნიორისგან დიდი ხნის განმავლობაში. აღნიშნულ ახალგაზრდათა 35%-სთვის გაგრძელდა ეს ეპიზოდი დიდი ხნის განმავლობაში, დაახლოებით თვეები.

2.4 ეკონომიკური ძალადობა

კიდევ ერთი ძალადობის იდენტიფიცირებული ტიპი იყო დაჯგუფებული შემდეგი ცვლადებით: *თქვენ მიერ მისი ხარჯების გადახდა მისი მონაწილეობის გარეშე, ფაქტობრივად, ის, ჩემს ხარჯზე ცხოვრობდა; ისეთი ნივთების განადგურება, რომლებსაც თქვენთვის ემოციური ღირებულება აქვთ.*
კვლევის თანახმად, ახალგაზრდების მხოლოდ 12% აქვთ პარტნიორის მხრიდან ეკონომიკური ძალადობის გამოცდილება. მათგან 43% 16-დან 20-წლამდე პირები არიან (გრაფიკი 2.4.2.) და იმ ახალგაზრდების 51% რომელსაც აქვთ ეკონომიკური ძალადობის გამოცდილება - კაცები არიან. (გრაფიკი 2.4.4.) ასაკისა და სქესის კატეგორიის ანალიზმა ეკონომიკური ძალადობის მიხედვით აჩვენა, რომ 16-26 წლის ასაკობრივ ჯგუფში კაცების 12%-სა და ქალების 11%-ს ერთხელ მაინც გამოუცდიათ ეკონომიკური ძალადობა ურთიერთობაში (2.4.3). რაც შეეხება განაწილებას ასაკობრივ ჭრილში, 16-20 წლის ასაკობრივი ჯგუფის 13%-ს და 20-26 წლის ასაკობრივი ჯგუფის 10%-ს გამოუცდია მსგავსი შემთხვევა (გრაფიკი 2.4.1)

გრაფიკი 2.4.1
განაწილება ეკონომიკური ძალადობის ასაკობრივი ჯგუფების ჭრილში



გრაფიკი 2.4.2
ასაკობრივი ჯგუფების განაწილება ეკონომიკური ძალადობის ჭრილში



გრაფიკი 2.4.3
ეკონომიკური ძალადობის განაწილება სქესის ჭრილში



გრაფიკი 2.4.4
სქესის განაწილება ეკონომიკური ძალადობის ჭრილში



კვლევამ ცხადყო, რომ უმრავლესო შემთხვევებში ეკონომიკურ ძალადობას განიცდიან ის პარტიორები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან მეორეზე ფინანსურად, აძლევენ მეორე პირს გადაიხადონ ყველა ხარჯი მონაწილეობსი გარეშე. სხვა სიტყვებით, იმ ახალგაზრდათა 84%, რომლებსაც ეკონომიკური ძალადობა გამოუცდიათ, აღნიშნავს, რომ ძალადობა გამოიხატებოდა პარტიორის მიერ მათ ხარჯზე ცხოვრებაში. მხოლოდ 35%-მა განაცხადა, რომ მათ ასევე ჰქონიათ გამოცდილება, როდესაც პარტიორი მათთვის ემოციური ღირებულების მქონე ნივთებს ანადრუგრებდა.

ეკონომიკური ძალადობის განმეორებითობის ტენდეცია მსგავსია ფსიქოლოგიური ძალადობისა. სხვა სიტყვებით, ორივე შემთხვევაში ის ნაწილი ხალხისა რომელმაც არაერთხელ გამოცადა ამ ტიპის ძალადობა მეტია ვიდრე ის ვინც მხოლოდ ერტელ

იყო ამ სიტუაციაში. თუმცაღა, განმეორებადი ეკონომიკური ძალადობის გამოცდილების მქონდე პირების რიცხვი ნაკლებია ვიდრე ფსიქოლოგიურის (გრაფიკი 2.3): განმეორებადი ეკონომიკური ძალადობის გამოცდილება აქვს 56%-ს. ამ ტიპის ქცევის გრძელ და მოკლე ვადიანი გამოცდილების მქონდე ხალხის განაწილება თანაბარია ფიზიკური ძალადობის იგივე განაწილების. უფრო ზუსტად, ეკონომიკური ძალადობის გამოცდილების მქონდე ახალგაზრდაების 59% დიდი ხნის განმავლობაში ამგვარი ქცევის სამიზნეები არ ყოფილან, დანარჩენი ნაწილი კი იყო.

2.5 მაკონტროლირებელი ქცევა

კითხვარის მიხედვით წარმოდგენილმა ფაქტორბმა და სიტუაციის ტიპებმა საშუალება მოგვცა დაგვეჯგუფებინა ცვლადები, რომლებიც გამოხატავენ მაკონტროლებელ ქცევას. ანალიზი აჩვენებს, რომ 16-26 წლის ახალგაზრდების უმრავლესობას (69%) გამოუცდია მაკონტროლებელ ქცევა პარტნიორისგან.
(გრაფიკი 2.2). აღნიშნულ სეგმენტში ასაკის განაწილება შემდეგნაირია: ხალხის 40% 16-20 წლის ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება და 60% 21-26 წლის ასაკობრივ ჯგუფს (გრაფიკი 2.5.2). საინტერესოა ის ფაქტი, რომ ახალგაზრდაების 73% 16-20 წლის ასაკობრივ ჯგუფში გამოუცდია პარტნიორის მიერ კონტროლი, მაშინ როცა ამ სეგმენტის წილი 16-20 წლის ასაკობრივ ჯგუფში 66%-ია (გრაფიკი 2.5.1).

გრაფიკი 2.5.1
მაკონტროლებელი ქცევის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების ჭრილში



გრაფიკი 2.5.2
ასაკობრივი ჯგუფების განაწილება მაკონტროლებელი ქცევის ჭრილში



სქესის განაწილება იმ სეგმენტში, რომელსაც გამოუცდია მაკონტროლებელი ქცევა პარტნიორისგან თანაბარია ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდლიების მქონე სეგმენტის. კერძოდ, მათი 51% არის მამაკაცი და დანარჩენი 49% არის ქალი. მთლიანობაში, 16-26 წლის ასაკობრივი ჯგუფის მამაკაცების 72%-ს აქვს ამ უკანასკნელის გამოცდილება და ქალების შედარებით ნაკლებ წლის 66%-ს.

გრაფიკი 2.5.3
მაკონტროლებელი ქცევის განაწილება სქესის ჭრილში



გრაფიკი 2.5.4
სქესის განაწილება მაკონტროლებელი ქცევის ჭრილში



ქვემოთ მოყვანილი გრაფიკი (გრაფიკი 2.5.3) აჩვენებს კვეთას ეკონომიკურ ძალადობასა და ძალადობის სხვა ტიპებს შორის. იმ ადამიანთა გავრცელება, რომლებსაც გამოუცდიათ მაკონტროლირებელი ქცევა მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ძალადობის სხვადასხვა ტიპებში. ზოგადად, ყველა ტიპის ძალადობის ობიექტები განიცდიან მაკონტროლირებელ ქცევას პარტნიორისგან. მაკონტროლირებელი ქცევის ყველაზე მაღალი გავრცელება გვხვდება ფსიქოლოგიური ძალადობის ჯგუფში, ხოლო ყველაზე დაბალი სექსუალური ძალადობის შემთხვევაში. კონკრეტულად, თითქმის ყველას (97%), ვისაც გამოუცდია ფსიქოლოგიური ძალადობა, ასევე გამოუცდია მაკონტროლირებელი ქცევა პარტნიორისგან, ხოლო სექსუალური ძალადობის შემთხვევაში იგივე მაჩვენებელი 94%-ია. აღნიშნული შედეგები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ კვეთა ძალადობის სხვადასხვა ტიპებსა და მაკონტროლირებელ ქცევას შორის არის გავრცელებული და სავარაუდოა, რომ თუ პირი განიცდის ძალადობას პარტნიორისგან, ის ასევე განიცდის მაკონტროლირებელ ქცევასაც.

გრაფიკი 2.5.3
სქესის განაწილება მაკონტროლებელი ქცევის ჭრილში



მსგავსად ფსიქოლოგიური ძალადობის შედეგებისა, მაკონტროლირებელი ქცევის ყველაზე გავრცელებული შემთხვევებია პარტნიორის მხრიდან იმის ცოდნის დაჟინება, თუ სად არის და რას აკეთებს მეორე, ტელეფონის არასათანადო გამოყენება, კონტროლი და გადამეტებული ეჭვიანობა. ყველა ქვემოთ მოხმობილი ფაქტორი ასევე დაჯგუფებულია ფსიქოლოგიური ძალადობის ტიპშიც. თუმცა, ცხრილი აჩვენებს უმნიშვნელო სხვაობას იმ ადამიანების გავრცელებაში, რომლებსაც გამოუცდიათ კონტროლი პარტნიორის მხრიდან (ცხრილი 2.5.1).

ცხრილი 2.5.1
მაკონტროლებელი ქცევის სხვადასხვა სიტუაციების/ფაქტორების განაწილება

ფაქტორები	შეწონილი პროცენტი
დაჟინებით მოითხოვდა ცოდნოდა და ხართ და რას აკეთებთ	63%
მობილური ტელეფონის ბოროტად გამოყენება, მისი გაკონტროლება, შემოწმება	59%
ექპრესიულად ეჭვიანობა „ვის ელაპარაკე? ალბათ რაიმე გაქვს მასთან!“	47%
გეუბდნებოდათ რომ ის ცუდად იყო თქვენი საქციელის გამო და თქვენ ეს უნდა შეგეცვალათ	44%
დაგდევდათ, გაწუხებდათ ზარებით, შეტყობინებებით, იმეილებით, გითვალთვალებდათ ურთიერთობის დროს/დაშორების შემდეგ	35%
თავს დამნაშავედ გაგრძნობინებდათ მეგობრებთან ან ვინმე სხვასთან დროის გატარების გამო მის ნაცვლად	32%
დაშორების შემდეგ თქვენთან შეხვედრას ცდილობდა თქვენი სურვილის მიუხედავად, აწყობდა „შემთხვევით“ შეხვედრებს	30%
დაჟინებით მოითხოვდა შეგეწყვიტათ საუბარი ადამიანთან, რომელთანაც მანამდე მეგობრობდით	26%
ის ყოველთვის აყენებდა წესებს ან დღის წესრიგს ურთიერთობაში, რა უნდა აკეთოთ (როდის, რა, სად უნდა წახვიდეთ...), რომ დაეკმაყოფილებინა თავისი კომფორტი მაშინაც კი თუ ეს თქვენი სურვილის წინააღმდეგ ხდებოდა	25%
ცდილობდა შეეზღუდა თქვენი კონტაქტი თქვენს მეგობრებთან და ოჯახთან	19%

ფსიქოლოგიური ძალადობის განმეორებითობის მსგავსად, ახალგაზრდების 67%-ს, რომელსაც აქვს პარტნიორის მიერ მაკონტროლებელი ქცევის გამოცდილება, მსგავს სიტუაციაში ერთზე მეტჯერ ყოფილა ურთიერთობის განმავლობაში (გრაფიკი 2.3). რაც შეეხება იმ დროს, რომლის განმავლობასაც პარტნიორის მიერ მაკონტროლებელი ქცევის გამოცდილება იყო გრძელვადიანი ან მოკლევადიანი, ზუსტად არ ემთხვევა ფსიქოლოგიური ძალადობის მონაცემებს. კონკრეტულად, 16-26 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში ადამიანების 19%, რომლებსაც გამოუცდიათ მაკონტროლებელი ქცევა, არ ყოფილან ამ სიტუაციაში დიდი ხნის განმავლობაში (გრაფიკი 2.4)

2.6 ძალადობა ტექნოლოგიების გამოყენებით

როგორც ზემოთაა აღნიშნული, სიტუაციების ჩამოთვლილი ტიპები ურთიერთობის განმავლობაში დაჯგუფებულია ტექნოლოგიების გამოყენებასთან თავიანთი კავშირის მიხედვით. მაშასადამე, ძალადობის ტიპი ტექნოლოგიების გამოყენებით

იდენტიფიცირებული იქნა(ცხრილი 2.6.1). კვლევამ გამოკვეთა, რომ ახალგაზრდაების 52%-ს პარტნიორის ყოლის გამოცდილებით, გამოუცდიათ პარტნიორის მიერ ძალადობა ტექნოლოგიის გამოყენებით. ამ ტიპის ძალადობის გამოცდილების მქონდე პირების უმრავლესობა (53%) აღმოჩნდა მამაკაცი (გრაფიკი 2.6.4) და 21-26 წლის ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი (59%; გრაფიკი 2.6.2)

რაც შეეხება ასაკობრივ ჯგუფებში ამ ტიპის ძალადობის განაწილებას, ეს უკანასკნელი უფრო ხშირად წარმოდგენილია 16-20 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ვიდრე 21-26 წლის ასაკობრივ ჯგუფში. კერძოდ, განაწილება ამ ქვეჯგუფებში არის შემდეგი: 57% და 49%.

გარდა ამისა, მამაკაცების 56%-ს გამოუცდია პარტნიორის მიერ ძალადობა ტექნოლოგიების გამოყენებით, ხოლო ამ სეგმენტის წილი ახალგაზრდა ქალებში უფრო მცირეა - 48% (გრაფიკი 2.6.3)

გრაფიკი 2.6.1
ძალადობა ტექნოლოგიების გამოყენებით ასაკობრივ ჭრილში



გრაფიკი 2.6.2
ასაკობრივი ჯგუფები ტექნოლოგიების გამოყენებით ძალადობის განაწილების ჭრილში



გრაფიკი 2.6.3
ტექნოლოგიების გამოყენებით ძალადობის განაწილება სქესის ჭრილში



გრაფიკი 2.6.4
სქესის განაწილება ძალადობის ჭრილში



ცხრილში ჩანს ფაქტორები და სიტუაციის ტიპები რომელსაც ტექნოლოგიების გამოყენებით ძალადობა მოიცავს. ნათელია, რომ პარტნიორის ტელეფონის შემოწმება და გაკონტროლება ყველაზე ხშირად გამოხატული ქცევაა - 10დან 8 ახალგაზრდას, რომელსაც აქვს ტექნოლოგიის გამოყენებით ძალადობის გამოცდილება, ყოფილა სიტუაციაში სადაც თავის პარტნიორს მისი ტელეფონი გაუკონტროლებია. ამავდროულად, პარტნიორის ინტიმური ფოტოების/შინაარსის გასაჯაროვება ყველაზე ნაკლებად დასახელებული ქცევაა, მათ შორის რაც ასოცირდება ტექნოლოგიების გამოყენებით ძალადობასთან.

ცხრილი 2.6.1
მაკონტროლებელი ქცევის სხვადასხვა სიტუაციების/ფაქტორების განაწილება

ფაქტორები	შეწონილი პროცენტი
თქვენი მობილური ტელეფონის ბოროტად გამოყენება, მისი გაკონტროლება, შემოწმება	79%
დაგდევდათ, გაწუხებდათ ზარებით, შეტყობინებებით, იმეილებით, გითვალთვალებდათ ურთიერთობის დროს/დაშორების შემდეგ	47%
თქვენი ნების საწინააღმდეგოდ თქვენი ფოტოების გასაჯაროვება	16%
სათვალთვალო აპლიკაციის გამოყენება, რომ თვალი ედევნებინა სად იყავით	10%
თქვენი მრავალჯერ უარყოფის მიუხედავად გაიძულებდათ გაგეგზავნათ თქვენი შიშველი სხეულის ფოტო ან ინტიმური ფოტო	5%
თქვენი ინტიმური ფოტოს ან საკონტაქტო ინფორმაციის გავრცელება ეროტიულ კონტექსტში	3%

უფრო მეტიც, ხალხის უმრავლესობა, ვისაც ტექსნოლოგიური საშუალებებით ძალადობა გამოუცდია, ამგვარი ქცევის განცდა უწევდათ მოკლე დროის განმავლობაში მსგავსად სხვა ძალადობის სახეების მონაცემებისა. კერძოდ, ახალგაზრდების 77%-ს არ დასჭირდათ გაეძლოთ მსგავსი სიტუაციისთვის დიდი ხნის განმავლობაში. რაც შეეხება განმეორებითობას, ახალგაზრდების 57%-ს, ვისაც გამოუცდია ძალადობა ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, მოუწიათ მსგავს სიტუაციაში ყოფნა მრავალჯერ, ერთზე მეტჯერ თავიანთ ურთიერთობაში. აღსანიშნავია, რომ ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით ძალადობის გამოცდილება ერთხელ ან მეტჯერ ზუსტად თანაბარია ეკონომიკური ძალადობის მონაცემებისა.

3 ძალადობა პარტნიორებს შორის და მისი შედეგები

კვლევამ გამოკვეთა, რომ ხშირად, ერთი ტიპის ძალადობის გამოცდასაც კი თან ახლავს რიგი სირთულეებისა. კონკრეტულად, ადამიანთა უმეტესობას, რომელთაც არ უწევთ ძალადობრივი ურთიერთობის შემდეგ უარყოფით შედეგებთან გამკლავება, გამოუცდიათ ფსიქოლოგიური ძალადობა - ასეთ ადამიანთ 49%-ს არასდროს ჰქონია სირთულეები. თუმცა, ამ სეგმენტის (ვისაც არ შეექმნათ პრობლემები) პროპორცია სხვა ტიპის ძალადობების შიგნით არის შედარებით მცირე. სახელდობრ, ასეთ ადამიანთა რაოდენობა სექსუალური და ეკონომიკური

ძალადობის შემთხვევებში არის მხოლოდ 32% და 33%, ხოლო ფიზიკური ძალადობის კატეგორიაში კიდევ უფრო მცირე - 23% (გრაფიკი 3.1).

მეორე მხრივ, ყველაზე გავრცელებული პრობლემები, როგორც ძალადობრივი ურთიერთობების შედეგები, არის ძილის დაღვევა და ინსომნია (35% ფსიქოლოგიურში; 54% ფიზიკურში; 52% სექსუალურში და ეკონომიკურ ძალადობებში). ყურადღების დაკარგვა (კონცენტრაცია სამუშაოზე, სწავლაზე) არის მეორე ყველაზე გავრცელებული პრობლემა ძალადობის გამოცდის შემდეგ (25% ფსოქოლოგიურში; 34% ფიზიკურში; 27% სექსუალურში და 25% ეკონომიკურში). ასევე აღსანიაშნავია, რომ ძალადობის, ცხოვრების შიში გავრცელების მიხედვით არის მესამე ყველაზე დიდი პრობლემა. კონკრეტულად, ამ უკანასკნელის გავრცელების დონე გარკვეულწილად იგივეა, რაც გულისრევა და თავბრუსხვევა, წონის დაკარგვა და ანორექსია და სუიციდური ფიქრები იმ ადამიანებში, ვისაც გამოუცდიათ ფსიქოლოგიური ძალადობა. თუმცა, ძალადობის ან/და ცხოვრების შიშთან გამკლავება უფრო ხშირია ძალადობის სხვა ტიპებში: 18% ფიზიკურში, 16% სექსუალურში და 17% ეკონომიკურ ძალადობაში.

გრაფიკი 3.1

პრობლემები, რომლებიც რესპონდენტებს აქვთ ძალადობის გამო წარმოდგენილი ძალადობის ტიპების ჭრილში



გრაფიკი 3.2

პრობლემები, რომლებიც რესპონდენტებს აქვთ ძალადობის გამო წარმოდგენილი ძალადობის ტიპების ჭრილში



ზემოთ აღნიშნული სირთულეების ცალ-ცალკე გაანალიზება, ძალადობის ტიპების მიხედვით, ნათლად აჩვენებს, რომ მათ, ვისაც გამოუცდიათ რაიმე ტიპის უარყოფითი შედეგები ძალადობრივ ურთიერთობაში არიანს ფსიქოლოგიური ძალადობის ობიექტები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ ადამიანების აბსოლიტურ უმრავლესობას, რომლებსაც აქვთ ძილის ფუნქციების დარღვევა ან ძალადობის შიში, არიან ადამიანები, ვისაც აქვთ ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილება პარტნიორის მხრიდან. ძალადობის ტიპების გავრცელება, სირთულეების სხვადასხვა სახეობების მიხედვით, არის იგივე თითქმის ყველა სირთულესთან. კონკრეტულად, როგორც ზემოთ აღინიშნა, უმრავლესობაში არიან პირები ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილებით, მეორე ადგილზეა ფიზიკური ძალადობა, მესამეზე სექსუალური და ბოლო ადგილზეა, ეკონომიკური ძალადობის ობიექტები. თუმცა, სურათი განსხვავებულია გულისრევისა და თავბრუსხვევის შემთხვევებისთვის. აღნიშნული სირთულეები დამახასიათებელია უფრო მეტად იმ ადამიანებისთვის, ვისაც აქვთ ეკონომიკური ძალადობის გამოცდილება (29%), ვიდრე სექსუალური ძალადობის ობიექტებისთვის (15%).

ცხრილი 3.1

პრობლემების/სირთულეების რიცხვი, რომლებიც სხვადასხვა ტიპის ძალადობის გამოცდილების მქონე ადამიანებ შეხვედრიათ

მომხდარი სირთულეები	შეწონილი პროცენტი	შეუწონავი რიცხვი
ძილის დარღვევა, ინსომნია	34%	41
სამუშაოზე ან სწავლაზე კონცენტრაციის გრძელვადიანი უუნარობა	24%	29
გულისრევა, თავბრუსხვევა	6%	7
ანორექსია, წონის კლება	7%	8
ძალადობის, ცხოვრების შიში	8%	9
ფიქრები თვითმკვლელობაზე	6%	7
ჩამოთვლილთაგან არცერთი	50%	59

გრაფიკი 3.3

ძალადობის ტიპების პროცენტული განაწილება იმ პრობლემეში, რომლებიც რესპოდენტებს აქვთ



4 ძალადობის გამოცდილებასთან გამკლავება

ნებისმიერი ტიპის ძალადობრივი ურთიერთობის შემთხვევაში, ობიექტი ცდილობს აღნიშნული ურთიერთობის დასრულებას და პრობლების ამ მეთოდით გადაჭრას. ეს ტენდენცია გამოვლინდა, როგორც ყველა ტიპის ძალადობასთან გამკალვების პიონერული მექანიზმი და ადამიანთა უმრავლესობა ცდილობს პრობლების გადაჭრას პარტნიორთან დაშორებით(გრაფიკი 4.1).

აღსანიშნავია, რომ ადამიანთა მნიშვნელოვან რაოდენობას, ვისაც გამოუცდიათ ძალადობრივი ურთიერთობა, არაფერი გაუკეთებიათ სიტუაციის გამოსასწორებლად ან არ მიუმართავთ სხვა მეთოდისთვის, რომელიც ჩამოთვლილი იყო კითხვარში. კერძოდ, ადამიანთა პროცენტულობა, რომელთაც არ უცდიათ ან რაიმე გაუკეთებიათ სიტუაციის გადასაჭრელად მერყეობს 24%-დან 32%-მდე ძალადობის სხვადასხვა ტიპების მიხედვით.

გრაფიკი 4.1
გამკლავების მექანიზმი სხვადასხვა სახის ძალადობის ჭრილში



გრაფიკი 4.2
გამკლავების მექანიზმი სხვადასხვა სახის ძალადობის ჭრილში



საინტერესოა, ის ფაქტი, რომ სიტუაცია, რომელიც დაკავშირებულია ძალადობასთან გაუმჯობესდა მას შემდეგ, რაც ძალადობის გამოცდილების მქონე პირებმა სცადეს ამ პრობლემის გადაჭრა ნებისმიერი მეთოდის დახმარებით (გრაფიკი 4.3). მთლიანობაში, შემთხვევების 75%-ში ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ სიტუაცია უკეთესი გახდა, შემთხვევების 23%-ში აღნიშნავენ, რომ არაფერი შეიცვალა ძალადობის მხრივ ურთიერთობაში, და მხოლოდ შემთხვევების 3%-ში აღნიშნავენ, რომ სიტუაცია კიდევ უფრო ცუდი გახდა.

გრაფიკი 4.3
გამკლავების მექანიზმები სხვადასხვა სახის ძალადობების ჭრილში



აღსანიშნავია, რომ ზემოთ ხსენებული ტენდენციები იგივე რჩება ძალადობის ნებიმსმიერი სახისთვის. არის მხოლოდ მცირე ცვლილებები პროცენტებში ძალადობის ტიპების მიხედვით. კერძოდ, სიტუაციის გაუარესების უმაღლესი წილი ნებისმიერი გამკლავების მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში მოდის ფიზიკურ, სექსუალურ და ეკონომიკურ (6%-7%) ძალადობაზე, ხოლო ყველაზე მცირე პროცენტი სიტუაციის გაუმჯობესებისა მასთან გამკლავების მცდელობის შემთხვევაში ხდება ეკონომიკური ძალადობის გამოცდილების მქონე პირებს შორის. ძირითადად, რესპონდენტების მიერ აღნიშნული გამკლავების მეთოდები, რომლებიც გამოიყენეს გამოცდილი ძალადობის წინაარმდეგ ცხადად წარმატებული აღმოჩნდა.

უფრო მეტიც, როგორც ზემოთაა აღნიშნული, მამაკაცი რესპონდენტებისგან თავიანთ ურთიერთობასთან დაკავშირებული ნეგატიური გამოცდილების აღწერა უფრო მოსალოდნელია ვიდრე ქალებისგან.